ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–1228

"25" მაისი 2017წ.

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლება III მიკრორაიონი IVკვარტალში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.007.021), ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 11 მაისის №19 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლება III მიკრორაიონი IV კვარტალში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.12.02.007.021), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიენიჭოს ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

დავით ნარმანია